

ნეოლოგიზმთა თავისებურებანი ფრანგულ ინტერნეტ-სლენგში

ციური ახვლედიანი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com
<https://doi.org/10.52340/lac>

ნაშრომი ეხება ინტერნეტ-საშუალებებით შემოსულ ნეოლოგიზმებს ფრანგულ ენაში. თანამედროვე სამყაროში, ინტერნეტ-სლენგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინტერნეტ-მომხმარებელთა ურთიერთობაში; ბოლო დროს კი, შეინიშნება ინტერნეტ-ლექსიკის აქტიური გამოყენების ტენდენცია ფრანგი ახალგაზრდების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ფრანგულ ენას ახასიათებს სიტყვათა დიდი რაოდენობის შეკვეცა სასაუბრო მეტყველებაში. ეს მოვლენა ასევე მყლავნდება ინტერნეტ-ურთიერთობებშიც. განმასხვავებელი ნიშნებია აბრევიატურების აქტიური გამოყენება, ზოგიერთ ასოებრივ შეერთებათა შეცვლა აპოსტროფით, სიმბოლოთა (ციფრების, დიდი ასოების, ფულის სიმბოლოთა) გამოყენება სიტყვის თანამჟღერ ნაწილთა ან მთელ სიტყვათა შესაცვლელად, ნეოლოგიზმების შექმნა და/ან გამოყენება.

ფრანგული ინტერნეტ-სლენგი, რომელსაც ახასიათებს სიტყვაწარმოების სხვადასხვა ხერხი, ხშირად სალიტერატურო ფრანგული ენისათვის არატიპიური, ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ფრანგი ახალგაზრდების მიერ ინტერნეტ-სერვისებში ურთიერთობისას და გამოდის რა ვირტუალური ენის ჩარჩოებიდან, რეალურ ყოველდღიურ ურთიერთობაშიც კი გამოიყენება.

საკვანძო სიტყვები: ინტერნეტ-სლენგი, ინტერნეტ-სერვისი, ვირტუალური ურთიერთობა, აბრევიაცია, ნასესხობები, ინტერნეტ-საშუალება, ნეოლოგიზმი, ანგლიციზმი.

ჩვენი ნაშრომი ეხება ინტერნეტ-საშუალებებით შემოსულ ნეოლოგიზმებს ფრანგულ ენაში. თანამედროვე სამყაროში, ინტერნეტ-სლენგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინტერნეტ-მომხმარებელთა ურთიერთობაში; ბოლო დროს კი, შეინიშნება ინტერნეტ-

ლექსიკის აქტიური გამოყენების ტენდენცია ფრანგი ახალგაზრდების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ინტერნეტ-სლენგი გამოიყენება ინტერნეტ-სერვისით (ფორუმი, ჩატი, მესენჯერი, სოციალური ქსელები) ურთიერთობის დროს. ცნობილია, რომ სლენგს გააჩნია ენის საყოველთაოდ მიღებული წესებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობის განსხვავებანი. ეს განსხვავებანი შეიძლება იყოს სიტყვაწარმოების ისეთი ხერხები, რომლებიც სავსებით არატიპურია ფრანგული ენისათვის. ინტერნეტი გულისხმობს შემოკლებათა მნიშვნელოვან რაოდენობას, ამიტომაც არსებობს აბრევიაციათა და შემოკლებათა სხვა სახეობების მნიშვნელოვანი რაოდენობა. სლენგის გამდიდრების კიდევ ერთი პოპულარული წყაროა სხვა ენებიდან ნასესხობები, რომელთა შორის ჭარბობს ინგლისური ენიდან ნასესხობები. რადგანაც სლენგური ინტერნეტ-ლექსიკა გასაგებია ინტერნეტ-ქსელის ყველა მომხმარებლისათვის, იგი იწყებს შეღწევას ვირტუალური სივრციდან რეალურ სივრცეში, როგორც სასაუბრო, ასევე წერით ენაშიც (მაგალითად, რეკლამაში, მხატვრულ ლიტერატურაში, ინსტრუქციებში და პოლიტიკურ ლოზუნგებშიც კი). მსოფლიო ქსელი იქცა ინფორმაციათა გაცვლის ადგილად დიდი რაოდენობის ადამიანთათვის. სხვადასხვა ფორუმებზე, ჩატებში, საიტებზე, ელექტრონულ ფოსტაში ურთიერთობისას, შეინიშნება ფრანგული ენის სიტყვების არასწორად გამოყენების ტენდენცია მთელ მსოფლიო ქსელში. ვირტუალური ურთიერთობის დროს, შეტყობინებები იწერება მაქსიმალურად სწრაფი და მოსახერხებელი საშუალებებით. სხვა ენებისაგან განსხვავებით, ფრანგულ ენას ახასიათებს სიტყვათა დიდი რაოდენობის შეკვეცა სასაუბრო მეტყველებაში. ეს მოვლენა ასევე მჟღავნდება ინტერნეტ-ურთიერთობებშიც. განმასხვავებელი ნიშნებია აბრევიატურების აქტიური გამოყენება, ზოგიერთ ასოებრივ შეერთებათა შეცვლა აპოსტროფით, სიმბოლოთა (ციფრების, დიდი ასოების, ფულის სიმბოლოთა) გამოყენება სიტყვის თანამჟღერ ნაწილთა ან მთელ სიტყვათა შესაცვლელად, ნეოლოგიზმების შექმნა და/ან გამოყენება. იმ ნეოლოგიზმთა მაგალითებად, რომლებიც გამოიყენება ფრანგულ ინტერნეტ-საშუალებებში, შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ლექსიკური ერთეულები: **buzz** – რეკლამა ლენტში ან შეტყობინება ამოცურებული ფანჯრის ფორმატში, **suivre** – ხელმოწერა. ამჟამად არსებულ, სლენგურ გამონათქვამთა უმეტესობა, ინტერნეტქსელში, ან ინგლისურენოვანია, ან ადაპტირებულია ინგლისური ენიდან ამა თუ იმ ქვეყნის ენაზე. ამის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ინტერნეტი დაიბადა აშშ - ში, და შესაბამისად, ურთიერთობა მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე; ასევე ის

მოვლენაც, რომ ინგლისური წარმოადგენს ურთიერთობის საერთაშორისო ენას ტექნოლოგიურ სფეროში. ინტერნეტ-ენის განხილვისას, ყურადღება უნდა მივაქციოთ ინტერნეტ-სლენგის იმ ლექსემებს, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ ამ სფეროში ურთიერთობისას: ინტერნეტში ურთიერთობისას, ფრანგები სესხულობენ ინგლისურენოვან აბრევიატურებს. ამის შესაბამისად, ხშირად იყენებენ გამონათქვამს «**lol**», რაც ნიშნავს «ბევრ სიცილს» ან «ბევრი იცინას»; ნასესხობათა დიდი რაოდენობის მიუხედავად, ფრანგები «**lol**» - ს ცვლიან «**mdr**» -თი, რაც წარმოადგენს შემოკლებას გამონათქვამიდან «**mort de rire**» და ნიშნავს «სიცილისაგან კვდომას»; ამ მაგალითის მიხედვით, შეიძლება შევნიშნოთ ფრანგული ენის გავლენა ინტერნეტ-კულტურაზე, ასევე ტენდენცია ინტერნეტ-საშუალებათა პატივისცემისაკენ, კერძოდ, არა ბრმა ნასესხობის გადმოღება გუნება-განწყობილების საამებლად; შეტყობინების ან განსახილველი თემისადმი უკმაყოფილების გამოსახატავად, გამოიყენება გამონათქვამი «**tale**», რაც იშიფრება როგორც «**topic a lacon**» – «სულელური რამ», რაც გულისხმობს უაზრო დისკუსიას; იმ შემთხვევაში, თუ განსჯის თემად რაიმე ბანალური საკითხია, იყენებენ ინტერნეტ-სლენგად შემდეგ სიტყვას: «**weta**», რომელიც ითარგმნება, როგორც «ვიკიპედია - შენი მეგობარი», ფრანგულად - «**wikipedia est ton amie**»; გაგების გამოსახატავად, გამოიყენება შემოკლებული ანგლიციზმი «**okay**».

ამგვარად, ფრანგული ინტერნეტ-სლენგი, რომელსაც ახასიათებს სიტყვაწარმოების სხვადასხვა ხერხი, ხშირად სალიტერატურო ფრანგული ენისათვის არატიპიური, ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ფრანგი ახალგაზრდების მიერ ინტერნეტ-სერვისებში ურთიერთობისას და გამოდის რა ვირტუალური ენის ჩარჩოებიდან, რეალურ ყოველდღიურ ურთიერთობაშიც კი გამოიყენება.

ლიტერატურა:

Albertini D., Doucet D. La fachosphère: Comment l'extrême droite remporte la bataille d'Internet. Paris, Flammarion, 2017.

Qotb H. Vers une didactique du français sur objectifs spécifiques médié par Internet. Paris, Publibook, 2009.

Robert illustré & Dixel 2014. Paris, Le Robert, 2013.

Tsiuri Akhvlediani

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Peculiarities of neologisms in French Internet slang

Abstract

Our paper deals with neologisms in the French language introduced through the Internet. In the modern world, Internet slang plays important role in the communication of Internet users; Recently, there has been a tendency to actively use Internet vocabulary in the daily life of French youth.

The French language is characterized by shotering a large number of words in colloquial speech. This phenomenon also manifests itself in Internet relationships. Distinctive features include active use of abbreviations, replacement of some letter combinations with apostrophes, use of sumbols (numbers, capital letters, money symbols) to replace consonant parts of whole words, creation and/or use of neologisms.

French Internet slang, which is characterized by different ways of word formation, often atypical for the literary French language, is widely used by modern French young people when communicating in Internet sefvices, and it comes out of the framework of the virtual language, even in resal everyday communication.

Key words: Internet slang, Internet service, virtual relationship, abbreviation, borrowings, Internet medium, neologism, anglicism.

რეცენზენტი: პროფესორი თამარ ლომთაძე

სამეცნიერო-რეფერირებადი ჟურნალი "ენა და კულტურა"
SCIENTIFIC PEER REVIEWED JOURNAL "LANGUAGE AND CULTURE"
2022

N28,